სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

გაგზავნილ თფილისში	გაუგზავნელთა:
ა გარეშე ადგილებში:	
რი წლისა — 4 მ.	— 3 მ. —
ასევარი წლისა — 3 —	— 2 მ. —
ში თვისა — 1 მ.	— 1 მ. —

მესუთე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის მოწერა მიიღება:

თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და ამს. (დუბელირის) სტამბაში, სერგეევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ» при типографіи Г. Церетели и ко. (Дубелира-*

№ 10 შაბათი | V | 30 მაისი, 1872 წ.

შინაარსი:

განცხადებანი ტფილისის გუბერნატორისაგან,—ხაჭრთველოს ამბავი:—გორიდგან.—შორაპნიდგან.—გურიიდგან.—კასეთიდგან.—ხაშეურნეო საწოლი: ხაშეურხეო ეველის ჭრისანა.—ხიეკამა შენიშვნა.—რასანირი ბავლენა აქვს მოსეტეულ ღვინის ხმარ.—ეურმოობითი განცხადება.

განცხადება

ერთი რომელიმე სოფლის მცხოვრებლები ფილისის გუბერნიაში არ დაკმაყოფილებულან გუბერნიის მთავრობის გადაწყვეტილებაზე იმათ საქმის შესახებ, მოუყრიათ თავი ითხმოც კაცს ერთათ და მისულან დიდ-მთავართან კავკასიის ნამესტნიკთან სიტყვიერი ჩივარის განსაცხადებლათ ზემოხსენებულ ადწყვეტილებაზე.

მათმა უმაღლესობამ სოფლელების ამგვარი მოქმედება კანონის წინააღმდეგობათ შეიცხა და გაგზავნა ისინი გუბერნიის მთავრობასთან.

მცხოვრებლების მოთავე კაცები ამ საქმეში გუბერნიის მთავრობის განკარგულებით უკვე ოგანათ დაისაჯენ და ამასთანავე ზემოხსენებული სოფლის საზოგადოების მცხოვრებლებს აცნობეს, რომ კანონისამებრ (მუხლი ორას ოცდა თორმეტი, მეთორმეტე ტომისა და მეორე ნაწილისა, სახელმწიფო სოფლების კეთილ-დაწყობილების შესახებ), თავმოყრით, ანუ შეთქმულობით საჩივრის განცხადება დაშლილია და თუ საზოგადოებას უნდა საჩივრის განცხადება, წინათვე კარგათ უნდა მოიფიქროს სოფლის ყრილობაში, რაზე უნდათ საჩივრის განცხადება, ამოარჩიონ იქ ექვილები საჩივრის მისაცემათ, აგრეთვე თუ საჭირო იქნება, საქმეზედაც იარონ, სოფლის გამგეობის მეთერთმეტე მუხლის თანახმად. ამ ექვილებს უნდა მიეცესთ რწმუნების წერილი, მამასახლისისაგან დამოწმებული და სოფლის სასამართლოს ბეჭედ დასმული.

განეუცხადებ რა ამაზე ყველა ტფილისის გუბერნიის სოფლის სასამართლოთა, რომ შემდეგისთვის მხედველობაში იქონიონ ეს ამბავი, დავუმატებ, რომ ეინც სოფელს გაამბრძოლებს ამისთანა მოქმედებაში, ის დაისჯება სისხლის სამართლით და მომეტებულს სასჯელს მიეცემიან მამასახლისებიცა და სოფლის მოსამართლეები (სუდიები), რომელნიც მიცემული უფლებისამებრ მოვალენი არიან ეწინააღმდეგონ და ჩაუშალონ ხალმე სოფლელებს ამისთანა მოქმედების დაწყება.

ტფილისის გუბერნატორი **ორდოგსკი.**

სოეეტნიკი **ამიროვი.**

სწორეთ არის საქმის მწარმოებელი

დარიგებითი განცხადება

მთელი გუბერნიის სასოფლო სასამართლოებთან და განსაკუთრებით თელავის უეზდისა.

ამ უკანასკნელს წლებში ხშირად მომდის თელავის უეზდის ცხაზინო გლეხებიდგან საჩივარი, რომ საკმაოთ არ გვაძლევენო ენენახის ჭიღეებს, ესე იგი სამი ან ოთხი ურემის ანგარიშით თითო გლეხზე, თითო ურემში რომ ვიანგარიშოთ სამასი ხეი და ხეი ხისა და ორასის მუხის ჭიღეი და ამისგამო ზოგიერთი ბაღები ხშირათ რჩებიან შეუმუშაებელნი და უშემოსაელოთ.

თელავის უეზდის ლესნარს და იმის თანაშემწეს რომ ეკითხეთ ამ საგანზე, იმათ გვითხრეს, რომ თუ კიდეე ამაზე მომეტებული სარი ეაძლიეთო, მიუცილებლათ ყველა სახელმწიფო ტყეები გაეერანდებაო, რომელნიც ადგილობრივი მცხოვრებლების რიცხვისა და იმათ ოჯახობის შესაფეროთ, ახლაც არ არიანო საკმაოთ კარგს მდგომარეობაში.

რადგან ერთის მხრით საზრუნველად მაქვს უმთავრესი უეზდის მცხოვრებლების ოჯახობა—ენენახების კეთება და მეორეს მხრით ტყის მოვლაც, რომელიც მეტად სასარგებლო ნივთია ქვეყნისთვის, ამისთვის გავგზავნე თელავის უეზდში თფილისის გუბერნიის ტყის რეეიზორი (ზედამხედველი) ტიტულიარნი სოეეტნიკი გამრეკელოვი, რომ დაწერილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეტყო ალაგობრივ საქმის გარემოება და ეჩვენებინა ისეთი ალაგები, რომელნიც ხელსაც გაუმართავდენ მცხოვრებლების ოჯახობას და ტყეებიც არ გაფუჭებულიყო.

ტყის რევიზორის მოხსენებაში სხვათა შორის სჩანს, ერთი, რომ ბარიან ალაგებზე ტყეები იმდენათ გაფუჭებულები არიან უთავბოლო კაფვითო, არამც თუ ვენახის სარი, თითქმის წნელიც ადარ მოიპოვება,—ძველი ხეები იქვე სულ გადამორილებია,—მეორე, რომ მარტო თელავის უეზდს ყოველწლობით უნდება ერთ მილიონ ნახევარი ჭიღო (სარი) და მესამე, რომ გარდა იმ ადგილებისა, რომელნიც ტყეზე ძალიან მოშორებით დგანან და გლეხებს, ღონისძიება არა აქვთ ყოველ წლობით იქიდგან გამოიტანონ სარი, ტყეზე მახლობელი გლეხები რადგან იციან რომ ყოველწლობით მოგვეცემაო, არამც თუ არ ცდილობენ სარები სხვა წლებისათვისაც შეინახონ, არამედ აგდებენ იმათ ცუდი ამიდების დროს ვენახებში და ამას გარდა ათელვინებენ საქონელსა, რომელსაც რთველს შემდეგ შეუშვებენ ყანაში. ამის შემდეგ რასაკვირველია წინაწლის სარები სახმარისნი ადარ არიან და იმათ შემათ ხმარობენ ოჯახში.

ამას გარდა როდესაც ლესნიჩები მისცემენ სარის მოსაჭრელს ბილეთებს, მომეტებული ნაწილი ჭიღვებისა (სარებისა) მიაქვთ თავის სასარგებლოთ შეძლებულს გლეხებს, რომელთაც საკმაო საქონელი ჰყავთ და თავის ბაღებს გარდა სხვა ბაღებიც აქვთ აღებული, ან ქირით და ან გირაოთ.

ვაცნობებ რა ამას ყველა სოფლის სასამართლოებს, ეურჩევ, ერთი რომ მოიხმარონ ღონისძიება, მიცემული ვენახის სარი თანასწორად იყოფოდეს გლეხებში, ესე იგი ვისაც რამდენი შეხვედრია წელში, იმდენი მიეცეს და მეორე,—რომ ჭიღო ეძლევათ გლეხებს ძველი დამპალი სარების გამოსაცვლელად და არა ყოველ წლობით მთელი ვენახის მოსასარავათ; ასე რომ იყოს არაფერი ტყე არ მორჩება გაუკაფავი და თვით გლეხების სარგებლობაც მოითხოეს, რომ ნაკლები შრომა და დრო დასჭირდეთ, წინა წლის სარები მოსთხოვონ ხოლმე ვენახში და დააწყონ ფარდულს ქვეშ შემდეგი წლისთვის გამოსაყენებლათ, როგორც ბევრგან იციან ხოლმე.

გუბენატორი ორლოვსკი

სახელმწიფო ქონების მმართველი ძუბენკო

ტყის რევიზორი გამრეკელოვი.

ОБЪЯВЛЕНІЕ

Жители одного селенія, Тифлисской губерніи, оставшись недовольными постановленіемъ административнаго начальства по ихъ дѣлу, явились всѣ вмѣстѣ, т. е. *скопомъ*, въ числѣ 80-ти душъ, въ г. Тифлисъ къ ВЕЛИКОМУ КНЯЗЮ намѣстнику, для принесенія изустной жалобы на означенное постановленіе.—

ЕГО ВЫСОЧЕСТВО, находя таковой поступокъ сельскихъ жителей противу-законнымъ,—изволилъ приказать передать ихъ на распоряженіе Губернскаго Начальства.—

Главные зачинщики и руководители названныхъ жителей въ совершеніи сказаннаго поступка по распоряженію Губернской власти, подвергнуты уже надлежащему взысканію. При чемъ обществу жителей сказаннаго селенія внушено, что по закону (ст. 232 т XII ч. 2 уст. о благоустр. въ казен. сел.) подача жалобъ скопомъ или заговоромъ строго воспрещается и что если оно, т. е. общество, желаетъ принести жалобу, то должно предварительно обсудить содержаніе ея на сельскомъ сходѣ и избрать на ономъ повѣренныхъ какъ для подачи жалобы, такъ равно, въ случаѣ надобности, и для хожденія по дѣлу, согласно 7 п. 11 стат. Положенія о сельскомъ общественномъ управленіи, съ выдачею повѣреннымъ довѣренности за подписью сельскаго Старшины и за печатью сельскаго управленія.—

Объ этомъ поставляя въ извѣстность всѣ сельскія общества Тифлисской Губерніи для руководства на будущее время въ подобныхъ объясненному случаяхъ присовокупляю, что виновные въ подстрѣкательствѣ обществъ къ подобнымъ дѣяніямъ подвергнутся уголовному преслѣдованію, коего неизбѣгнутъ, въ высшей онаго мѣрѣ, сельскіе старшины и судьи, обязанные по власти, имъ данной, нетолько отклонять, но и противу – дѣйствовать исполненію незаконныхъ намѣреній.—

Тифлисскій Губернаторъ *Орловскій*.

Совѣтникъ М. Амировъ.

Вѣрно: Дѣлопроизводитель

НАСТАВИТЕЛЬНОЕ ОПОВѢЩЕНІЕ

всѣмъ Сельскимъ Управленіямъ въ губерніи и особенно Телавскаго Уѣзда.

Въ послѣдніе годы стали часто поступать комнѣ жалобы обществъ казенныхъ крестьянъ Телавскаго Уѣзда на недостаточный отпускъ имъ таркальника, въ количествѣ отъ 3-хъ до 4-хъ арбъ на каждый дымъ, считая въ каждой двух-парной арбѣ разнороднаго 300, а дубоваго 200 штукъ, вслѣдствіе чего, по заявленію обществъ, нѣкоторые сады не рѣдко остаются не обработанными и бездоходными.

Спрошенные по поводу жалобъ, Лѣсничій и Подлѣсничій Телавскаго Уѣзда объяснили, что увеличеніе смѣтнаго расхода лѣса повлечетъ за собой непремѣнно истощеніе дачъ, состояніе коихъ сообразно числу населенія и занятіямъ его, связаннымъ съ лѣснымъ хозяйствомъ, далеко не въ удовлетворительномъ положеніи.

Озабочиваясь развитіемъ и поддержаніемъ съ одной стороны главнаго занятія жителей уѣзда, винодѣлія, а съ другой стороны состоянія лѣсовъ, имѣющихъ весьма важное значеніе для экономіи мѣстности,—мною былъ командирован

Телавскій Уѣздъ Лѣсной Ревизоръ Тифлисской губерніи, Титулярный Совѣтникъ Гамрекеловъ, для подробнаго ознакомленія на мѣстѣ съ обстоятельствами дѣла и указанія тѣхъ мѣръ, которыя, не стѣсняя занятіе жителей, согласовались бы съ требованіями лѣснаго хозяйства по поддержанію состоянія лѣсовъ.

Изъ донесенія Лѣснаго Ревизора, между прочимъ усматриваются: во 1-хъ, что нѣкоторые лѣса на плоскости приведены въ такое состояніе, что изъ нихъ не только нельзя заготовлять таркальникъ, но и хворостяной матеріалъ, отъ постоянныхъ вырубокъ въ нихъ, въ молодомъ возрастѣ, деревьевъ,—старыя же деревья, попадающіяся тамъ же, обрублены и обращены въ безвершинники, 2-хъ, что ежегодно по одному только Телавскому подлѣсничеству расходуется до $1\frac{1}{2}$ милліона молодыхъ деревъ и въ 3-хъ, что крестьяне, заключеніемъ отдаленныхъ отъ лѣсовъ, которые физически лишены возможности вывозить лѣсной матеріалъ въ одинаковомъ количествѣ съ другими, расчитывая на значительный отпускъ таркальника, не только не принимаютъ мѣръ къ сбереженію на другіе годы, но напротивъ, оставивъ ихъ въ садахъ, подъ не благопріятнымъ климатическимъ вліяніемъ, подвергаютъ сверхъ того порчѣ скотиною, которая вгоняется въ сады всегда за уборкою винограда, послѣ чего тычины эти могутъ быть употреблены, какъ и дѣлается на самомъ дѣлѣ, на подтопку очаговъ.

Кромѣ того, по дошедшимъ до меня свѣдѣніямъ, оказывается, что, при выдачѣ лѣсничими новыхъ билетовъ на вырубку лѣсныхъ матеріаловъ, большая часть отпуска забирается въ свою пользу болѣе состоятельными крестьянами, которые располагаютъ достаточнымъ количествомъ скотины и имѣютъ въ своемъ распоряженіи кромѣ собственныхъ садовъ еще арендуемые у другихъ или же въ залогѣ.

Давая объ этомъ знать всѣмъ Сельскимъ Управленіямъ, предлагаю принять мѣры, во первыхъ о равномѣрномъ распредѣленіи годоваго отпуска между всѣми членами общества, т. е. чтобы каждый дымъ получалъ то самое количество, которое назначено по смѣтѣ, а во вторыхъ, внушить крестьянамъ, что назначаемый по смѣтѣ таркальникъ отпускается только на замѣну примедшихъ въ негодность, а не на перемѣну всѣхъ каждо годно, на что ни какіе отпуски не въ силахъ удовлетворять потребности ихъ и что прямая польза крестьянъ, въ видахъ сбереженія и труда, требуетъ того, чтобы таркальникъ въ одно время съ собираніемъ винограда, по возможности убирался изъ садовъ, для сбереженія его въ защищенномъ отъ дождя мѣстѣ, подъ навѣсомъ, какъ это соблюдается вомногихъ мѣстахъ не изобилующихъ лѣсомъ.

Губернаторъ Орловскій

Управляющій Государственными Имуществами Дзубенко

Лѣсной Ревизоръ А. Гамрекеловъ.

ხალხოვანი ამბები

გორიდგან. ამ ერთი კვირის წინათ ერთმა ჩემმა ნაცნობმა დამპატიჟა ს. ქარელს *), სადაც დავყავი სამი დღე და, მგონი, ურიგო არ იყოს ორიოდე სიტყვა გაცნობოთ იქაური შკოლის შესახებ—რა მდგომარეობაშია. დიდი ხანია გაგვიგონია ქარელის შკოლის ქება, რომ მოწაფეები ბევრი ჰყავს და სწავლაც გვარიანი არისო; ასე რომ ბევრს ‖ქონდა დიდი იმედი, მოწაფეები თუ არ მიემატებოდნენ, არ მოაკლდებოდა მაინცა. მაგრამ ამ იმედმა იქაურ მცხოვრებლებს უმტყუნა: ჩემს იქ ყოფნის დროს, სამის დღის განმავლობაში შკოლის კარები ღია ვერა ვნახე, ერთი მოწაფეც არის მაინც შესულიყოს. შარშან შკოლას მოწაფეები ყოლია 30-დი. წრეულს ერთიც აღარა ჰყავს. ამის მიზეზი თითონ ქარელებმაც არ იციან. შკოლის სახლი კარგია, მასწავლებელიც ჰყავთ ერთი მღდელი, რომელიც ექვს თვეზე მეტია, რაც გაუმწესებიათ. ამ მღვდლის იმედი ქონიათ, მაგრამ ამ იმედშიაც მოტყუებულან და დაუკარგავთ შკოლა.

*) გორის მაზრაში, გორიდან 18 ვერსზე.

მიკვირს, ჩვენ მირეკოი პოსრედნიკი რადღლებას რატომ არ მიაქცევს და ამოდენა სოფლის საზოგადოებას *) არ ათავებინებს და ხელ—ახლა არ აწყობინებს სწავლასა....

ვ. თ.

1872 წელსა,
16 მაისსა.

შორაპნის მაზრა, მაისის 16.

დიდი ხანია რაც შორაპნიდამ არაფერი ამბავი მისვლია «დროების» მკითხველებს. მართალია, აქ დიდი შესანიშნავი არა არის რა, მაგრამ ყურადღების ღირსი ამბავი აქ შეიძლება მოინახოს, თუ კარგი არა, ცუდი მაინცა. რკინის გზის თაობაზედ ამბავი რამოდენიმე პირისაგან აქვს გაგებული «დროების» მკითხველებს და ამისათვის საჭიროდ არა ვრაცხ ამაზედ ლაპარაკს დაწვრილებით. ორიოდე სიტყვას ვიტყვით მხოლოდ. მე თუმცა სტანციებში და საზოგადოდ მათ მართველობაში და მსველელობაში არ შამინიშნავსრა ცუდი რამე, მაგრამ ბოროტი ენებისაგან არის დაყრილი ჭორი, რომ მათში ჯერეთ დიდი უწესობა სუფევსო....წასრულს წელში «პეტერბურღის უწყებებში» სწერდა ერთი ჩვენებური კორრესპონდენტი, რომ ზაფხულობით სტანციებში წყალი ვერ იშოვება საკმაოდ ლოკომოტივებისათვისო; საზოგადოდ ის ამბობდა, რომ სტანციები ცუდ ადგილებს არის აშენებულიო. მაშინ ეს ყველას ტყუილი ეგონა, მაგრამ დღეს მართლა ცხადად ასრულდა ეს ამბავი; როგორც ამბობენ, ზოგიერთ სტანციებში თითო ლოკომოტივის მეტისათვის ვერა შოულობენ წყალსაო. ამით ეგონებ, არავინ უნდა შეშინდეს: ჭები თუ დაშრება, ყვირილა და რიონი ხომ აღარ დაშრებიან! იმოდენა აუარებელი სიმძიმე თუ მიაქვს მაშინას, თავის სამყოფ წყალს როგორ ვერ წაიღებს? ჭების კეთებაში, მართლად უნდა ვსთქვა სიმართლე, სწორეთ ძლიერ შესცდნენ: ყვირილის სტანციის სიახლოვეს დაადგენ ერთ ადგილს და დაუწყეს ჭას თხრა. ორ არშინს ქვემოთ კლდე გამოჩნდა; მოდგენ და

**) იქაურმა მცხოვრებელმა როგორც მითხრა, ამ სოფელში ორასი კომლი იდგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუწყეს კლდეს მტვრევა. რამოდენი ხარჯი წავიდა, რამოდენი საქენი მიწა ამოთხარეს, მაგრამ წყლის რა მოგახსენო: ზვეიდამ თუ ჩაუშვებენ, კარგათ ჩავა და ქვემოდამ ამოსვლას კი არ აპირებს....მეტი საშუალება ვერა გამოიგონესრა, ერთი ღელე მოუშვეს შორიდამ და მით ავსებენ ხოლმე ამ ჭას.

უმეტესად საჭირო და სასარგებლო იქნება ჩვენი ხალხის განათლებაზე ლაპარაკი და მეც ახლა ამის ამბავს მოგიყვებით წასროულს წელში «დროებაშიაც» იყო მოყვანილი, რომ ყრილობა იყო ყველა უეზდის ნაჩალნიკებთა ქალაქს ქუთაისში. ამ ყრილობაში დაესწრენ ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი და სახალხო შკოლების ინსპექტორიც. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თავ-მჯდომარეობით ამ ყრილობას სხვათა შორის ჰქონდა მსჯელობა სახალხო შკოლების გამმართვაზე სოფლებში. ყრილობას ერთ ხმად გარდაეწყვეტა, რომ ყოველს საზოგადოებაში უნდა ყოფილიყო შკოლები. მწერლობის თანამდებობა უნდა მინიჭებოდათ ისეთ პირებს, რომელთაც უნდა შეძლებოდათ მასწავლებლობის აღსრულებაცა. ეს მართლა ადვილი მოსახერხებელი იყო, რადგან საზოგადოების რიცხვი ძლიერ შეამოკლეს: პირველად, სოფლის სასამართლოების დაწესების დროს, შორაპნის უეზდში ირიცხებოდა სამოცდა ექვსი საზოგადოება და ახლა ირიცხება სულ ოცდა რვა საზოგადოება. ნწერლისა და თან მასწავლებლის განწესება სოფლის კანცელარიებში და შკოლებში ამ ყრილობამ მიანდო უეზდის ნაჩალნიკებსა და სახალხო შკოლების ინსპექტორს *).

ბოლოს ვალად დაუდვეს მამასახლისებს, კანცელარიებისა, შკოლებისა და პურის მაღაზიების გაკეთება სოფლებში, პლანისა მებრ. ამ შენობების პლანები უეზდის ნაჩალნიკმა ყველა მამასახლისებს დაურიგა, რომელშიაც გარდაახდევინეს მათ სამ-სამი მანეთი ფული. ამასთან, ძალით თუ ნებით, საზოგადოებას უნდა დაენიშნა მწერლებისათვის, მწერლობის აღსრულებისათვის, ეს ოთხმოცი მანეთი და როგორც მასწავლებლისათვის—თორმეტი თუმანი. ამგვარათ, ორივე თანამდებობის ჯამაგირი შეადგენდა სამას მანეთს; ამას გარდა იმათ ექნებოდათ სოფლისაგან სადგომი და შეშა. ეს მგონი, ცოტა არ არის. ამისთანა განკარგულების მოხდენამ, რასაკვირველია დიდათ გაახარა ყველა ის პირები, რომელნიც ხალხის განათლების საქმეს თანაუგრძნობენ. მაგრამ, საუბედუროთ, იმათ სიხარულსა და იმედს დიდხანს არ გაუწყვია...

აბა ეხლა გავსინჯოთ—როგორ ასრულდა ეს კეთილი ჰაზრი და მშვენიერი პლანები? სხვა უეზდის რა მოგახსენო, არ ვიცი, მაგრამ შორაპნის უეზდს რაიცა შეეხება, ამისი კი კარგად ვიცი. მიწერ-მოწერაში მართალია ასე გახლავთ ეს ამბები დარჩენილი, როგორც სხვებიც ამისთანა—შემდეგი ჩამომაელობისათვის; მაგრამ საქმით კი ჯერ ვერაფერ ვხედავ აღსრულებულიყოს რამე. პირველად მე იმას ეფიქრობდი—სად იშოვიან ამდენ მწერლებს, რომელთაც მასწავლებლობის თანამდებობის აღსრულებაც შეეძლოსთ, მეთქი? მაგრამ იმოდენი მსურველები აღმოჩნდნენ, რომ უადგილოთაც ბევრნი დარჩნენ! გაიგეს თუ არა, მოაშურეს სოფლისკენ გამორიცხულთა შაგირდებთა გიმნაზიიდამ და სასულიერო სასწავლებლიდამ, ეგრეთვე გამორიცხულთა რუსის მწერლებთა სხვა და სხვა სასამართლოდამ და გადამდგარ სალდათებმა და უნტერ-აფიცარებმა!...

ერთი ჰკითხეთ, თუ ღმერთი გწამთ, სად მიდიან? ჯერ არც შკოლები და არც კანცელარიები არსად არ არის აშენებული; ზოგან საწყალ გლეხებს ჯერ კიდევ იმაზედა აქვთ დიდი დაავ-დარაბა—თუ სად დადგან სოფლის კანცელარია და შკოლა, და ეს პატივცემული მასწავლებლები კი დიდი ხანია მზათ არიან და ჯამაგირსაც კარგს იღებენ...

ამ უშეელებელ უეზდში ორს ადგილას არის გახსნილი სოფლის საზოგადოებისაგან შკოლა: ერთი არის კიცხის საზოგადოებაში და მეორე შორაპანში. ორივე სოფელში ძლიერ შეუფერებელი სახლი არის სასწავლებლისათვის გაკეთებული. მასწავლებლად და მწერლად გახლავსთ პირველში რუსი თაგანი, რომელმანც ქართული ენა იმოდენად იცის, რამოდენად მე და შენ, ჩემო მეთხველო, ჩინეთური ენა ვიცით. აბა მეთხავთ თქვენ, როგორ ასწავლის ქართველ ბავშებს რუსი, რომელმანც ქართული სრულებით არ იცისო? თქვენ რომ გგონიათ, ის არ უძნელდება ამას სწავლება: ამას ჰყვერთი ვიღაცა მეორე კლასიდამ გამორიცხული შაგირდი მთარგმნელად; მიეა შკოლაში და რასაც ბრძანებს და იტყვის, ეს გადაუთარგმნის შაგირდებსა. თვითონ მე ამ მასწავლებელმა მითხრა, რომ ღმინასტიკური მოძრაობა უმჯობესია დავაწყებინო თავდა-პირველათაო, რომ ბავშვები არ დასნეულდეს. და მეც ამიტომ ამას მიეყავი პირველ ხელიო. მართლა, დიდათ საჭიროა ღემნასტიკური მოძრაობა იმ ბავშებისათვის, რომელნიც თითქმის დილიდამ საღამომდინ თოხი მუშაობენ!....ეს არაფერია კიდევ. ამ პატივცემულ მასწავლელებს დაუქირავებია ეხლა ერთ ვიღაცა, ეგონებ პრიჩეტნიკი, და ის ასწავლის სულ ქართულსაც და რუსულსაც ბავშებს. თვითონ ცხენით დაბრძანდება აქეთ-იქით საზოგადოება იმოდენათ კარგი გლეხებისგან შესდგება, რომ ოცდა-ათ თუმანს გა და ღვინოც უჩუქებიათ ას ჩაფადმდე. სოფლის საზოგადოება ემდურის ამ მასწავლებელს, რომ ბავშებს უსწავლელად გვიტოვებს შკოლაში, არ ცდილობს, როგორც რიგიათ ღვინოს ნამეტნავად სვამსო! ამისდა სამაგიეროთ, ის როგორც გავიგე, ეუბნება უ. ნ ჩალნიკს, რომ გლეხები შვილებს მთხოვენ უკ ვეო, არ გვინდა ჩვენ სწავლაო, მაგრამ მე მინ ძალით მინდა გავანათლო მათი ბავშვები და ამისათვის გლეხები მემდურიანო...გასაკვირველია, გლეხების საქმე ამ შემოხ ეკ ღვინო აჩუქეს და ბევრს ნუ დალევო! რ

*) ეს წესი წინეთ იყო და ესლა კი, როგორც ამბობენ, აღარ არის. უეზდის ნაჩალნიკებს მიუცია ნება მამასსლისებისთვის, ვინც ნებაზთ, იმის დაიყენებენ მწერლად და როგორ მოურიგდებიან, ესეც მათ ნებაზედ არის დამოკიდებული. ეს სულ ცუდია. ჯგტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც სჩანს, გლეხები ტყეილა ემდურიან ამ მწერალ-მასწავლებელს!....

ამას წინეთ ამ შკოლაში მისულიყო სახალხო შკოლის ინსპექტორი და ზოგიერთი შაგირდების სწავლაზედ კმაყოფილი დარჩენილიყო. მაგრამ ეს თუ მართალია, მადლობა ამ მასწავლებელს კი არ ეკუთვნის; ამისათვის რომ ეს ცოტაოდნად მცოდნე შაგირდები ორორი წელიწადი იყვნენ სხვა შკოლებში და იქ ასწავლეს. სახალხო შკოლების ინსპექტორმა რამოდენიმე საზოგადოების მწერლებს მოუყარა თავი სოფ. კიცხის საზოგადოების შკოლაში და აჩვენებდა პრაქტიკულად — თუ როგორ უნდა ესწავლებიათ შაგირდებისათვის შკოლებში. მაგრამ შკოლები სად არის?

ეხლა ვიტყვით რამოდენსამე სიტყვას შორაპნის საზოგადოების შკოლაზედ. ეს შკოლა არის საზოგადოებისაგან გახსნილი. შორაპნის საზოგადოებაში შკოლისათვის შეფერი სახლი წინეთ არ იყო, მაგრამ ეხლა კარგი სახლი უყიდნიათ. აქ არის მასწავლებლად ერთი მღვდლის შვილი, რომელსაც ოთხი კლასი სასულიერო სასწავლებელისა აქვს შესრულებული. ეს მწერალი და მასწავლებელი, რამოდენათაც ვიცნობ, კარგი ზნეობის არის და შაგირდებსაც კარგათ ასწავლის. მას ოცდა ათი შაგირდი ჰყავს შკოლაში და სრულიადაც სწავლებითა ძველებურად არ ასწავლის. სახალხო შკოლების ინსპექტორმა დაიარა ეს უეზდი და ბოლოს, როგორც გაგებული მაქვს, მოახსენა გუბერნატორს, რიგია გამოეცხადოს მადლობა მამასახლისებს კიცხის, შორაპნის და ხარაგოულის საზოგადოებათაო, რადგან მათ უზრუნავთ შკოლების გახსნისათვისო. ეს მოახდინეს, რასაკვირველია, სხვა მამასახლისების წასაქეზებელად. ორმა სტარშინამ, მართალია, ეთქვათ, გახსნეს შკოლები და შეკრიბეს შაგირდები, მაგრამ ხარაგოულის სტარშინას კი რაზედ მოუვიდა მადლობა, როდესაც იქ სრულებით შკოლა არ არის? თუ ამ მამასახლისს მიბაძა სხვა მამასახლისებმაც და სრულებით შკოლის კეთება აღარ ეძებეს, იქმნება ჩვენც მადლობა მივიღოთო, შენი მტერია, როგორც შკოლები აქ გაიმართოს!...

იმედი მაქვს, მეორე დროს მოველაპარაკო «დროების» მკითხველებს ოჯახებში დაყენებულ მასწავლებლებზე, რომელნიც ამ ჩვენს უეზდში უკანასკნელ დროს ძლიერ გამრავლდნენ.

შორაპნელი.

გ უ რ ი ი დ ა მ. ვის არ მოეხსენება, რომ წინეთ გურიაში, სიფიცხისა და დაუდეგრობის გამო, ძრიელ ბევრი კაცის მკვლელობა ხდებოდა ხოლმე: ვისმე რომ შეეგინებინა გურულისთვის, ის მაშინვე გაბრაზიანებული ახტებოდა და ზედ მიეარდებოდა ხანჯლით და დამბაჩით: ღმერთო კი მოჰკალი გოგია, მაგისთანა ყაზახმა, რომ შეაგინოს! თავი რათ მინდა ცოცხალიო, ამისთანა აბდალა ყაზილარმა რომ დამიბრიყოსო!» ერთს კი არ დაჯერდებოდა, იძრობდა ხანჯალს, დამბაჩას, თოფს, ხმალს და ეგრე აღელვებული მიეარდებოდა სასიკვდილოთ კაცს. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში, თუ პირველი პირი ითხოვდა დანაშაულობის მიტევებას, იქნება მაშინ ცოცხალი დარჩენილიყო, თუ არა და ხშირათ სიცოცხლეს გაუქრობდა ხოლმე. ამისთანა უბედურება გურიაში მანამ ძრიელ ხშირათ ხდებოდა ხოლმე.

ეხლა, ჩვენდა სასიამოვნოთ, ამისთანა ამბებს ძალიან ძნელათ გაიგონებთ: ხალხი უფრო დამშვიდებულა და დაწყნარებულა. დროებას სხვა ცვლილებაც მოუხდენია აქაურებზე და ზოგიერთი ამათგანი სანუგეშოა:

ამ სამი წლის წინათ ჩვენ პატარა სოფელს, მამათს, ერთი ოდის მეტს ვერ იპოვნიდით (მაღალ ბალკონიანი და ბუხრიანი სახლი). ეხლა კი უკანასკნელ ათს ოდას ნახავთ. უგრძენიათ, რომ შუაზედ დანთებული ცეცხლის ბოლი (ფუტი) თვალებს წყენს. ცხენებს მანამ ამ პატარა სოფელში ხუთს ძლიესლა იპოვნიდით, ეხლა კი თითო კომლი ერთორ ცხენსაც არ დაჯერებულა. მაგრამ მის ნაცვლად, საუბედუროთ, ქურდობა გაჩენილა ძრიელ; კვირა არ წავა თურმე, რომ თითოოროლა არ დაიკარგოს და ცხენი, ხარი, ძროხა არ მოიპარონ. ამ ქურდობის თაობაზედ ჯუმათის და ძიმითის საზოგადოება ყრილობას აპირობენ, უნდა მოიღაპარაკონ და გამოიყვანონ ქურდები და შეწამებული კაცები და წარუდგინონ უეზდის ნაჩალნიკს; თუ მართლა ეს განზრახვა იმათ აასრულეს და ნაჩალნიკს წარუდგინეს, იმედი არის, რომ უეზდის ნაჩალნიკი ამ საქმეზედ მოახდენს განკარგულებას და, ცოტა არ იყოს, მაინც ქურდობა იკლებს.

ღვინო, როგორც სხვა საქართველოს ადგილებში, გურიაშიაც აგერ ოცი წელიწადია, რაც ნაკლებად მოდიოდა; მაგრამ შარშან სრულებით არ მოსულა; ნამეტნავად მაღალი ხის ვენახის პატრონები სრულებით უღვინოთ დარჩენილან. ეხლა დაბალი ოდესის ვენახი შემოუღიათ აქ და აქაურებს იმედი აქვთ, რომ შემდეგში თავის სამყოფი ღვინო მოუვათ. ამბობენ, რომ ამ ვენახის ღვინო კარგი არის სხვა ღვინოზედო და კარგათაც იბამს ყურძენსო. — ეხლა კი ღვინის ალაგას გურიაში არაყს ხმარობენ. არაყის ხდა კარგათ შეუსწავლიათ; რა ჯურა არაყი გნებავთ, ჩვენ პატარა სოფელში, რომ არ მიირთვა: მსხლის, ვაშლის, ტყემლის, პანტის, ანწლის, ხურმის, ჭაჭის, სიმინდის, სანთლის, ფეტვის და სხვ. ერთი სიტყვით რის არაყი გნებავთ, მოითხოვეთ, მამათში სულ მოგერთმევათ. სამი წლის წინათ კი ესენი არცერთი არა იცოდნენ; გურულები აღრე არაყს სრულიად არ იყენენ შეჩვეულნი, მაგრამ ახლა კი ულვინობას შეუჩვევია.

საზოგადოთ უფულობაზე და სიძვირეზედ ძალიან სჩივიან გურულები. ოცდაათი თუმნის მოხერხება რომ ჰქონდეს ვისმე, იმ კაცს ძალიან ფულიანათ მოიხსენებენ ხოლმე. კაცის შრომაც ძალიან გაძვირებულა: აქამდისინ ორ-სამ თუმნათ მოჯამაგირეს რომ დაიჭერდით, ეხლა იმას ექვს-შვიდ თუმნათაც ვერ იშოვნით.

როგორც გაეგონენ ზოგიერთი სოფლე-

ლი გლეხი-კაცისაგან, სოფლის შკოლის ყმაწვილების მასწავლებლებს უჩივიან. ამბობენ: მასწავლებლები არ გვიყვარგანო, თორემ ყმაწვილები კარგათ გულსმოდგინეთ სწავლობენო; ნეტა არ იქნება მასწავლებელი რიგიანი მოვიდეს ვინმეო, მეტი ჯამაგირის მიცემა შეგვიძლია, ოღონდ ჩვენ შვილებს რიგიანად კი ასწავლონ, რაც ჩვენ ცხოვრებაში არის საჭიროო. ამბობენ აგრეთვე, ამ ხანებში რვეზორს მოელიან სოფლის შკოლების დასახედავად და მასწავლებლების გამოსაცადათ.

ექვთიმე ხელაძე.

1872 წ. აპრილის 20-ს სოფ. მამათი.

კახეთიდამ გვწერენ, რომ იქ კალია გაჩენილა. ამბობენ, რომ იქ ადრეც ყოფილა კალია, მაგრამ ძალიან ცოტა, ასე რომ ნამუშევარს და მცენარეებს მაგდენს ვერაფერს აკლებდაო. ახლა კი ისე უეცრათ გამრავლებულა, და თუ სხვა ქვეყნიდამ გადმოფრენილა, რომ თითქმის სულ გააწყალა ყველა მცენარეო; სხვა რომ აღარა დარჩენიათ რა, ვაზს დასცემიან და ფოთლები სულ შეუჭამიათ.

უბედურება არ არის, რომ წლეულდელ საშინელ გვალვას ეს დაწყეულილი კალიაც ზედ დაერთო! ღმერთო რომ გაუწყრეს და ახლა სეტყვაც მოვიდეს—ისღა აკლია....

ამისთანა მდგომარეობაში ჩავარდნილი კახელები, უეჭველია, მომავალ წელს გულ-დამშვიდებით არ უნდა მოელოდნენ...

ხამეურნეო ნაწილი

კუჩენბახის ყვავილის ქარხანა

გაზ. «კავკაზის» მე 60 № ში, სხვათა შორის, დაბეჭდილია ანგარიში შამოსაელისა, რომელსაც იღებს ბარონ კუჩენბახი თავის ქარხნიდგან წლის თავზე. ბარონი კუჩენბახი არის შთამომავლობით შვეიცარიელი ნემეცი, რომელმაც ათი-თერთმეტი წელიწადია, რაც ფეხი შამოსდგა ჩვენს საქართველოში იმ აზრით, რომ უმეცრებით და მოუხერხებელი ადამიანების ხელში ჩავარდნილი ბუნების სიუხვით ესარგებლნა რამე. ამისთვის იმან ამოირჩია ყველის კეთება ევროპიულად, რადგანაც იცოდა, რომ ამით უფრო მალე მიაღწევდა თავის მიზანს. იმან იჯარით აიღო ცოცოდენი ადგილი, სახელათ მამუთლი, თრიალეთის მაზრაში, თფილისის გუბერნიაში, და 1863 წელს დაიწყო ყველის ქარხანის შენება. უფ. კუჩენბახს, რასაკვირველია, საკუთარი ფული იმდენი არა ჰქონია, რომ ხერხიანი რამე გაეკეთებინა; მაგრამ ჩვენმა მეურნეობის საზოგადოებამ ძრიელ დაეხმარა ამ საქმეში და კარგა ძალი ფულიც მისცა; ამაეე საზოგადოებამ შვეიცარიული ძროხები გამოუწერა იმ პირობით, რომ მოეშენებინა ჩვენში სამზღვარ გარეთელი ძროხის ჯიში დამეყველებათ შაგირდები გამოეზარდნა; მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, არცერთი ესენი იმას არ შეუსრულებია.

როგორც «კავკაზის» ნომერში ამოწერილი ანგარიშიდგან სჩანს, ბ. კუჩენბახს ჰყოლია ეხლა 180 მეწველი ფური. ამ ფურების რძიდგან გამოჰყავს იმას შვეიცარიისა და ლიმბურღის ყველი 570 ფუთი, კარაქ მოხდილი ყველი — 240 ფუთი, კარაქი — 120 ფუთი.

«კავკაზის» სიტყვითვე, შვეიცარიის დ' ლიმბურღის ყველი იყიდება 13 მანეთად ფუთი, კარაქ მოხდილი ყველი — 2 მან., კარაქი ფუთი — 18 მან. მაშასადამე წლის შამოსაველი —180-ის ფურისა არის— 6,760 მან.

ამ ციფრებმა, თუმცა ძრიელ ნაკლებათ არიან ნაჩვენები (*), მაგრამ მაინც უნდა დაარწმუნოს ადამიანი, რომ ამ ცხრა წლის განმავლობაში უ. კუჩენბახი კარგა ბლოჰათ ფულს დაგროვებდა. ჩვენი მემამულეები, რომელთაც ბევრი საძოვარი ადგილები აქვსთ და საქონელიც ბლომათა ჰყავთ, უნდა ჩაგონოს ამ გარემოებამ, რომ უცხოთ მოსულმა ადამიანმა, უადგილ-მამულმა, უფულმა, ჩვენს მამა-პაპეულს მიწა-წყალზე კარგი ძალი სიმდიდრე შეიძინა და ჩვენ კი ეგრე ერთი მეორეს შეეყურებთ და ჩვენი ბუნებითი სიმდიდრე მოუხერხებლობით იღუპება....

იმას გარდა, რომ ნემეცების კალონისტები, თფილისში, თუ თფილისს გარშემო მცხოვრებნი, დიდ ძალს ფულს იღებენ ქალაქის მცხოვრებლებისაგან თუ კარაქით თუ რძით, თუ სხვა რამეებით, «მოსკოვის უწყებებში» ამოვიკითხე, რომ თერგის მაზრაში ახლად ჩამოსულა ორი ნემეცი, რომელთაც იჯარით აუღიათ იქაური მცხოვრებლებისაგან ცოტა საძოვარი ადგილი და ორმოც და ათი მეწველი ფური და აკეთებენ თურმე ღოლლანდიურ ყველსა და კარაქს. თავიანთ ნაწარმოებს ყველსა და ერბოს ახლომდის ჰყიდდნენ მარტოკა მოზდოკში და ელადიკავკაზში და ეხლა აპირებენ თურმე აქ, თფილისშიაც, გამართონ მაღაზია და ივაჭრონ. ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ისინი ისე ცარიელები ჩამოვადდნენ, როგორც კუჩენბახი, მაგრამ იმაშიდაც დარწმუნებული ვართ, რომ ისრე მალე მოიდგმენ სულს, როგორც ამ უკანასკნელმა.

ჩვენ ისიც გავიგეთ, რომ ქუთაისს ახლო ორს ძმას მიზანდაროებს ცოტა საძოვარი ადგილი და ოცდა ათამდის მეწველი ფურები უყიდნიათ. როგორც გვითხრეს, ჯერ-ჯერობით ძრიელ კარგათ მიდის თურმე ამათი საქმე; ისინი რძეს ჰყიდიან ქუთაისში და ცოტა კარაქსაც. ჩვენ დიდათ მოხარული ვიქნებოდით, რომ უ. უ. მიზანდაროებები გვაცნობებდნენ ხოლმე მათი ფერმის გარემოებას და იმის წარმატების მიზეზს, რომ ამითი დაემტკიცებიათ ნამდვილი სარგებლობა ფურის რძისაგან.

(*) ჩვენ ამ ანგარიშის ხისამდვილეს სრულიად არ ვეთანხმებით, რადგანაც ჩვენ თითონ გვიყვიდნია კუჩენბახის მაღაზიაში იმისიგე შვეიცარიული ყველი გირვანქა ათ შაურათ, ე. ი. ფუთი ოც მანეთათ და არა ცამეტ მანეთათ, როგორც «კავკაზია» გამოცხადებული; კარაქ მოხდილი ყველი გირვანქა—ექვს შაურათ, ე. ი. ფუთი თორმეტ მანეთათ და არა ორ მანეთათ, და კარაქი ათ შაურათ, ე. ი. ფუთი—ოც მანეთათ. მაშასადამე, იმ ანგარიშით, როგორც ჭიდის ქალაქში ყველსა და ერბოს ბ. კუჩენბახი, მას უნდა ჭქონდეს შამოსავალი წელიწადში 16,680 მანეთი და არა 6760 მანეთი, როგორც «კავკაზი» ამბობს.

ამ გარემოების შემდეგ თითქო უნებლიეთ მინდა წარმოვსთქვა, რომ ჩვენი ქართველების ხასიათი ისეთია, რომ ლუკმა-პურს პირიდგან სტაცებდეს ეინმე, მგონი ხელი არ გაიღოს და გულ-გრილათ შეჰყუროს. ამ გულგრილობას და დაუდევნელობას თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე, მით უმეტეს გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ ჩვენ გულითადი მსურველი და მოცალინე ვიყავით ხელი მოგვეწყო იმ პირუტყვის მოელაზე და ამითი ცოტა მაინც გაგვადვილებინა სახსარი ჩვენი მემამულეების შემოსაელისა, რომ ეიღაც გადმოსული სხვა მიწის შვილის მაგიერათ ჩვენი მიწა-წყლით ჩვენვე გვესარგებლნა. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი ცდა და ჩაგონება სრულიად ფუჭად რჩება ჯერ-ჯერობით; სხვა ქვეყნიდგან გადმოსულების რიცხვი კი თანდა თან მრაელდება. იმათ გამრაელებას და ჩვენი ადგილ-მამულის მათგან დაპერას, მით უფრო უნდა მოველოდეთ, რომ საცაა რკინის გზები გვიკეთდება და ჩვენ ჯერ საფუძელიანათ არცკი ეფიქრობთ, რომ გამოეიწვიოთ ჩვენი ადგილ მამულის მწარმოებლობა, რომ დეამზადოთ რამე რკინის გზის წასაღებ-წამოსაღებად. ჩვენ მხოლოდ თავის შესაქცევად ციეის სიტყვებით ვასაზრდოებთ ჩვენს თავს კეთილ-მომაველის დახატულებით რკინის გზის შემწეობით. ეაი თუ ისე მოგვეიდეს, როგორც ყვავს მოუეიდა, რომელმანც მეტის-მეტის სინაზით და თავ-მოყვარეობით პირიდგან ყველი გაადგო და მელას ხელში ჩაუგდო....

ნ. ახვლედიანი.

საქმიო შენიშვნა

იქნება მკითხველმა არ იცოდეს, რომ სოდერა წარმოსდგება იმისგან, რომ კაცს ხესულში პატარა პატარა ცხოველები უჩნდება, რომელიც საშინლათ მრავლდება და ჭკლავს ადამიანს. ერთი რუსის ექიმის გამოკვლეეთ, ამ პატარა ცხოველების მოსაკლავთ, რომელნიც უფრო მომეტებულათ კაცის სუნთქვაში ჩნდებიან სოდმე, უკელაზე უკეთესი საშუალება ის რკინის კუბარასია, რომლითაც სოდერობის დროს ფესის ადგილებს რწყავენ სოდმე ეკვლგან.

რანაირი კვდენა აქვს მოსტეპულ დვინის სმას

კაცის აგებულებაზე

რამდენიც კაცი ჩქარა დამომატებულად დაიწყებს დვინის სმას იმდენათ უფრო ძალიან მოუნდება მისი სმა, რომელიც არის წყარო ავათ მყოფობისა სიმთვრალეს გამოაქვს კაცის თავიდგან მსჯელობა, უკარგავს სახელოვოდ და უფარავს საშინლად მეყსიერებასა — გახდება საშარელი შეხედულობისა, რადგან მიიღებს სრულად სხვა-ფერსა და სიწითლეს, ოდეს იმისი გვამი გაჩერდება საშინლად. ამისთანა მდგომარეობაში ჩავარდება შაინ, ოდეს დვინო შეერიდება კაცის სისხლთან და დაიწყებს სისხლი მიმოსვლას, მეშობს კაცის აგებულებაში. მიდებული დვინო იქმნებს იხარშება და ამ ნაირად ინელებს კაცი ამნაირ დგომარეობაში.

სიმთვრალე რა გავშინჯოთ და გამოვიკვლიოთ, დიდი მავნებელი არის კაცის სხეულისთვისა, სულისა დაშემდეგ იმის ცხოვრ, ბისა: არის შემაწუხებელი კაცისა, ცოლისა შვილებისა და დამასუსტებელია მაგარ დამთელ აგებულებისა, რომელიც ბრმენს უფანტავს ჭკუასა და ჩაგდებს საშინელ მდგომარეობაში. იგი არის უკარეს მხეცზედ და არის თავის ხელით თავის მოკვლა, რომელიც მომეტებულად სვამს სხვის სადღეგრძელოს, მის მშვიდობისას და თითონ კი გამოდის თავის მშვიდობიან მდგომარეობიდგან. ჩვენ კარგათ ვიცით, რა ბევრი ცხოველი არის, რომელიც გაშინჯავს სასმელსა და ისე დალევს. და თუ ან დრეია, ან გეშა არმოეწონა მაშინვე თავს ანებებს, მაგრამ კაცი თუმცა გონებით ცხოველებზედ მაღლა დგას, მაგრამ ამას არაფიქრობს ბოლოს რა მდგომარეობაში ჩაგდებს ეს სასმელი. აქ მე საზოგადოთ არვიდებ ეოველ კაცს, მხოლოდ იმას, ვინც მაღლიან არის მოცული ამ ბოროტებით, რომელიც შემდეგ დათრობისა მიეცემა საზარელ მდგომარეობასა და იქნება მოკლებულ თავის მსჯელობის მოხმარებას. თუ ამ სმისმთვრალის დროს მოუნდა სიარული თეზეთ, მაშინ ისე უნდა აწუდებოდეს დობე- ეურეს, რგორც ცოცოვანი ცხოველი, რომელსაც ამდენს გონიერი ხალხი უცქერის ცუდის შეხედულებით და დასცინიან, ისკი სულობითაც ვერა გრძნობს თავის ნაკლულეკანებს და არა სწვამს სინდისი. რათ? იმისთვის რო ამდენს სინდისსაც მოკლებული არის დათავი გონებითი ხასკელობასაც. ანა ჩემო მკითხველო ახლა შენ წარმოიდგინე რამდენით ცუდი ეოვილა მომატებული სმა და სიმთვრალე. მაგრი ხასმელები ანასე ცუდათ მოქმედობენ კაცსა აგებულობაზედ, და აეშლება კაცს ბოროტი მოთხოვნილება, რომელსც ადარ მაღეეს დაეარეა თვისი ცუდი ზნეობისა. ბევრი მაგალითები ვდა, რა მთვრალი ანუ ლოთი დადს სისხლის სამართალში ვარდება ხოლმე დამეთ მართლობს თვის დანაშაულობას, მითომ სიმთვრალეთ მოსვლოდეს და შემთხვოდეს თვისი დანაშაულობა; მაგრამ მართლმსაჯულნი ამ შემთხვევაში სულებით არ ამართლებენ. მართლაც უნდა ვსთქვათ, რა ამისთანა მოქმედნი პირნი არ არიან დარსნი რა გაამართლონ. რისთვის? ამისთვის რო მათ წინათვე იციან, რა მდგომარეობაში ჩაცვივიან მაშინ როდესაც მომეტებულს დალევენ დაწრეს გარეთ გადავლენ თავიანთ დაუხდობითა. ამის თვის

ეროვნული

ძალიან საჭირო არის ამისთანა ხალხისათვის, ვიდრე ერთ სტატქნ დვინოს მიბეებენ, იფიქრონდ და წარმოიდგინონ რა ისინი ემსგდებიან ეოველ ბორბოტობის მოქმედბას და ხალხსა წინაშე უნდა გასხდნენ სასაცილონი, თუ მოიჭარბებენ დვინოს და ან იკეწუებენ ამ შემთხვევაში თვის ბატონსებს, თუმცა შემდეგ იქნება ბეურიტ ინანონ, მარამ» შემდეგ სიკვდილსა ვის მოუნანიებია.» თვით სჯულიტ გვიშტაიტებს რა არა რამელიმე სკა დანაშაულება და შეტოიმალება ქვეუანაზე არდუენ კაცის ჩამმავლობას ისეარამდენათც სიმთარალე დასილოთე. სიმთარალეს შეუძლიან და ადუნოს კაცის სხეული და სიბერის დრონ დაწეებინონ კანკალი მთლთ სხეულისა და ნამეტრავად თვისა და ხელებისა. ამის რა თვალ ეური ადეენონ დვინის მიმდვნმა კაცმა, ვეონეს რა უნდა დამეთანხმოს და შენტ ჩემ მკითხველო თვალ ეური რა ადვენო იმისთანა ბერებს რომლებზედაც ეს ლა გელაბარაკები, თქვენ ოთანხმა გამიხდებით. ამსალოთეს როგორტ სხეულის ვნეკა შეეძლიან, ეერეთვე სულისაც. ჩვენდა სუბედეერონ, ჩვენ უკვდავ სულს ჩაგდებს იმისთანა დასრულებულ შეტოიმილებაში, რომლისა გამო შეიძლება იგი იტანჯოს ჩვენ საქმა ცხოვრებაში და ვერ განთავი. სეოელდეს ამნაირ ტანჯვისა დაბორბოტებისა გან. ეს ჩვენლისა იქმდისან მეენილი არის კაცისათვის, რა სრულიად დაკვეწუებანებს დრერთსა და თვის სარწმენოებას მარამ კაცი უნდა ეცადოს ამ ბორბოტების გეანშორებს და სანამ სრულიად ხელს დარეს წინათვე წარმოიდგენდეს იგი მის ნაშუებს და ამ ნაშუებ დგან გამოსატვდეს, რომელიც შემდეგ დათრობისა უნდა გამოიარონ მან. ამ უბედურებს კაცი ადვილათ ვერ მოიბოვებს ანუ ეეტრად, არამედ კაცი მიითვისებს ამ ჩვეულებს ტოტ-ტოტად, ესე იგი ჯერ მიიდებს მმაე სასმელს ერთ სტ ქანს და რაშ გამხიარულდეს, შემდეგ მიდებს მეორეს. იქნება ამ მეორე მიდებასდ ერთიც სხვა დუმატონ. ია ამნაირად შეჩვეგან სიმთვრალეს. ჩვენი ეორდი ლოთები რომლებსაც სკვეხურათეკი აქვთ მიდებული რომე ამდენი ჯამის დალეკა შეგიძლიანო და მე ამდენისო; მაგრამ ჩვენდა სუბედურად ზოგზოგს იმათგანს რა ჭკიანი და გეშინჯო დდიური მისი შრომა და მოქმედბა ბერდა ბერ გამოიკვლეკ, რამდენ კაბეიკს ვერ შეატანს სახლში მთელ დღეს რამდენ ჯამ დვინოსაც ისდალეკს ერთ დღეში.

ისტორიული დამატება

მრავალნი სხვა და სხვანი უბედურებანი რომლებიც არიან ხამთვრალისა ნაშუებში და არიან დამდუბეელნი კაცთა ნათესაობისა. ამით განადვიმეს მრავალნი კეთილ მზრუნვეონი ბერები, რომლებიც ცდილობდნენ მოგვბოდ ეს ცუდი დასაბარელი ჩვეულება სალხთა შორის, მარამ ჩვენდა სუბედურად გამოცდილებით დაგვარწმუნებს არანეერი არა არის რა ქვეუანაზე მნელი და აუსრულებელი, როგორტ მოსპობა და მოშლეკინება ამ ჩვეულებისა, რომელსაც გეიდგამს ოვეკსვები კაცის ხასიათში და ჩვეულებათა ჭქვს გადაქცეული მის სუბედურად. გარდა ამისა ამ საკანონად რამდენისამე წლის წინათ მიაქცეს ეერადდება: ამერიკაში და დიდ ბრიტანიაში და ახლატ მრავალნი ბერნი ადმოჩნდნენ ამ სასეწაოებაში, რომლებიც გვარწმუნებენ და საიუმეულათ აქვს მიდებული: შეიძლება ამ ბორბოტების მოსპობა მხოლოდ იმისთან ბერებში, რომლებსაც ჯერ კიდეე ჩვეულებად არ გადაჭქცეეთ. რადგანაც ასე მნელი ადმოჩნდა მოსპობა ამ ბორბოტებისა, ამისა გამო ამერიკაში და დიდ ბრიტანიაში დაადგინეს საზოგადოება და დაუნიშნეს ჩლენები (წეკრება), რომლებმაც თვის იდეეს ეს საქმე და ტდილობდნენ რათა შემდეგ ამისა ადარ გეკრტელებულიეო ეს ჩვეულება სალხთა შორის და ეშლიდნენ სხვა და სხვა მაგრ სასმელებს. ამ საზოგადოებაში იეენენ ჩაწერილნი სხვა და სხვა წოდების სალხნი და, რასაკვირველია, ეს საზოგადოება ისე წავიდა როგორტ სურდათ მის შემადგენელ ბერებს და იმდენი სარგებლობაც მოუტანა სალხს ამ საზოგადოების დაწესებამ, რამდენსაც თითქმის არა კეთოელდა ხალხი.

დიანოზე მაჭავარიანი.

განცხადება

პირველი მაისიდამ რუსულ ალბანოში გაიხსნა ციეი საბანებელი. ალბანოიმყოფება ჩოლურეთში.

ეფასი:

აუზში დაბანა ღირს:	15 კაპ.
დუში.	5 »
ჩარსალი	5 »
პირსახოცი	3 »

Дозволено цензурою Тифлисъ 30 МАЯ 1872 г. ბ. წარეთლის და ამს. (ბუბელიანის.) სტამბა. რედ. გამომცემელი ბ. წარეთელი.